

1) მამამ ხუთი ერთნაირ სათამაშო იყიდა, რომელშიც ხუთი ათლარიანი გადაიხადა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი სათამაშო იყიდა მამამ?

1) ერთი

2) სამი

3) ხუთი

4) ათი



ბ) რამდენლარიანებით გადაიხადა მამამ?

1) 50-ლარიანებით

2) 20-ლარიანებით

3) 10-ლარიანებით

4) 5-ლარიანებით



გ) რა ღირს ერთი სათამაშო?

1) 5 ლარი

2) 10 ლარი

3) 20 ლარი

4) 50 ლარი

2) ბებია თავის ორ შვილიშვილს ერთი და იგივე ოდენობის ფული მისცა. უმცროს შვილიშვილს ქაღალდის ერთი ცალი ფული მისცა, უფროსს კი – ორი ხუთლარიანი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) ქაღალდის რამდენი ცალი ფული მისცა ბებია უმცროს შვილიშვილს?

1) 10 ცალი

2) 5 ცალი

3) 2 ცალი

4) 1 ცალი



ბ) ქაღალდის რამდენი ცალი ფული მისცა ბებია უფროს შვილიშვილს?

1) 10 ცალი

2) 5 ცალი

3) 2 ცალი

4) 1 ცალი



გ) რამდენლარიანი მისცა ბებია უმცროს შვილიშვილს?

1) ერთლარიანი

2) ხუთლარიანი

3) ათლარიანი

4) ოცლარიანი

3) ბებია კალათში ხილს აწყობდა. იგი ყოველ ჯერზე კალათში ორ ვაშლს და სამ მსხალს დებდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენ მსხალს დებდა კალათში ბებია ყოველ ჯერზე?

1) ორს

2) სამს

3) ექვსს

4) ცხრას



ბ) რამდენ ვაშლს დებდა კალათში ბებია ყოველ ჯერზე?

1) ორს

2) სამს

3) ექვსს

4) ცხრას



გ) რამდენი ცალი მსხალი ჩაუდია ბებიას კალათში, თუ ვაშლი 6 ცალი ჩადო?

1) 6 ცალი

2) 9 ცალი

3) 15 ცალი

4) 18 ცალი



